1921 წლის 25 თებერვალი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში

მანანა დარჩაშვილი *

შესავალი

სტატიაში განხილულია 1921 წლის 25 თებერვლის თემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ნაშრომები. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ შესაძლებელი გახდა 1918-1921 წლების შესახებ მსჯელობა. ამ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა. ბუნებრივია საკვლევ საკითხთა შორის არის 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედიაც. ამ პერიოდის ისტორიოგრაფია მრავალი მკვლევრის საინტერესო ნაშრომითაა წარმოდგენილი, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე ავტორს შევეხებით. ავტორთა სიმრავლიდან გამომდინარე ერთი სტატიის ფარგლებში ყველას შეხედულების განხილვა თითქმის შეუძლებელია.

25 თებერვლის შესახებ ნაშრომების მიმოხილვა

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921 წლის 25 თებერვლის თემა საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი, შეიძლება ავტორები თაობების მიხედვითაც განვიხილოთ. კერძოდ, უფროსი თაობის ავტორები, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული აკვირდებოდნენ პოლიტიკური პროცესების დინამიკას და ახლაგაზრდა ავტორები. შესაბამისად, იმ ავტორების ნაშრომების განხილვა, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული აკვირდებოდნენ და დოკუმენური მასალების შესწავლის საფუძველზე პო-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი. ORCID: https://orcid.org/0000-0002-7414-5160

ლიტიკური პროცესების განვითარების დინამიკა წარმოადგინეს მეტად საინტერესოა.

მ. ბახტაძე ნაშრომში „1921 წლის რუსეთ - საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედების ისტორიიდან," ომის მსვლელობას ომის მონაწილეთა მემუარების და პრესის შესწავლის საფუძველზე წარმოადგენს. ავტორი დეტალურად გადმოსცემს თებერვლის ქრონიკას, მათ შორის თვითმხილველების მოგონებებით თუ როგორი მოულოდნელი იყო ყველასათვის მთავარსარდლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქალაქის დატოვების შესახებ და აღნიშნულზე არაერთ მოსაზრებას განიხილავს. თვითონ ავტორი იზიარებს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მოსაზრებას, რომ თბილისის დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ მთავარსარდალი ნამდვილად უნდა მოთათბირებოდა ფრონტის სარდლებს. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებას ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებისათვის სათანადო ყურადღება რომ დაეთმო, სახალხო გვარდიის სახით არ შეექმნა არმიის პარალელური სამხედრო სტრუქტურა, „მეტი ნდობა გამოეჩინა ქართველი გენერლებისა და ოფიცრებისადმი, გვეყოლებოდა ჯარი, რომელიც არა მარტო მე-11 არმიას, არამედ ბევრ სხვა მოწინააღმდეგესაც სძლევდა. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთი კვლავ არ ეცდებოდა საქართველოს დაპყრობას, რომ საქართველო ყოველთვის შეძლებდა აგრესორის დამარცხებას, რომ ჩვენ აუცილებლად დავრჩებოდით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სულ მცირე 1939-1940 წლებამდე მაინც და სხვ. ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ 1921წლის თებერვალ-მარტში მიმდინარე ომს" (ბახტაძე, 2013).

მ. მაცაბერიძე აღწერს 26 მაისი თუ როგორ გადაიქცა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ, როგორ დაიწყო 1922 წლიდან 26 მაისის ჩანაცვლება 25 თებერვლით, თბილისში რუსეთის წითელი არმიის შემოსვლის დღის აღნიშვნით (მაცაბერიძე, 2018). 1922 წლიდან ბოლშევიკური ხელისუფლება შე-

ეცადა 26 მაისი გადაეფარა 25 თებერვლით და ეს დღეგამოაცხადა საბჭოთა საქართველოს „დაბადების დღედ“, რომლითაც დაიწყო, როგორც თვითონ ამბობდნენ საქართველოს „ნამდვილი დამოუკიდებლობა“.

შ. ვადაჭკორია ნაშრომში „საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტი)“ მთელ რიგ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, განიხილავს ამ პერიოდის მნიშვნელოვან საკითხებს. ავტორი დაასკვნის, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში საქართველოს დამარცხება გამოიწვია მთელმა რიგმა ფაქტორებმა, კერძოდ: ქართული ჯარის შესატყვისი რაოდენობით და სრულყოფილი შეიარაღებით შექმნა შეაფერხა ფინანსებისა და იარაღის უქონლობამ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება - თითქოს სამხედრო საწყობებში დიდი რაოდენობის იარაღი იყო, სინამდვილეს არ შეესაბამება; დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან დახმარების მიღება 1921 წლის 25 თებერვლამდე ვერ მოხერხდა; ქართველი სარდლების მიერ დაშვებული შეცდომები და რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება მთავრობის მიერ ბათუმის ოკრუგის მდინარე ჩოლოქამდე ოსმალეთისადმი დათმობის შესახებ არცერთი საარქივო დოკუმენტით არ დასტურდება (ვადაჭკორია, 2016).

ო. ჯანელიძემ ამ პერიოდს არაერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა, რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმეს შევეხები, წიგნში - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“ მთელი თავია მიძღვნილი 1921 წლის თებერვალის მოვლენებისადმი, სადაც აღნიშნულია, არსებული საგარეო საფრთხეების მიუხედავად, ქვეყანაში არსებული ოპტიმისტური განწყობის შესახებ; საყურადღებო მოვლენებზე საგარეო პოლიტიკაში: საქართველოს დელეგაციის მოღაწეობა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის; საგარეო საქმეთა მინის-

ტრის ევგენი გეგეჭკორის წარმატებული ვიზიტები უცხოეთში; ევროპის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების საქართველოში სტუმრობის ვიზიტის შემდგომ თავის ქვეყნებში საქართველოს მხარდასაჭერად გაკეთებული განცხადებები. ამის პარალელურად კი საქართველოს რუსეთის სამხედრო შენაერთები უკვე სამი მხრით უტევდნენ, რაც იმით დასრულდა რომ 24 თებერვალს მიღებულ იქნა თბილისის დატოვების გადაწყვეტილება და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი წითელმა არმიამ დაიკავა (ჯანელიძე, 2018).

აღსანიშნავია ასევე ო. ჯანელიძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ“ სადაც ავტორი ქართული სინამდვილისთვის ამ ორი თარიღის განსაკუთრებულობაზე აღნიშნავს. ავტორი ნაშრომში ეხება იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა. 25 თებერვალს მე-11 არმიამ თბილისი დაიკავა (ჯანელიძე, 1990).

25 თებერვლის თემას შეეხო თავის არაერთ ნაშრომში ვ. გურული აქედან განვიხილავთ მის ერთ-ერთ ნაშრომს „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921)“, სადაც აღნიშნულია, როგორ შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას რუსეთი; ქართული მხარე რუსეთთან მოლაპარაკებას რატომ ცდილობდა, რა დადებითი შედეგები ექნებოდა საბჭოთა რუსეთის საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, მსოფლიოს ქვეყნების დე-იურე აღიარებისათვის, როგორ ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოში რუსეთის აგრესიის საშიშროება (გურული, 2011).

აღსანიშნავია ს. ვარდოსანიძის, ვ. გურულის, კ. ხარაძის და ლ.ჯიქიას ნაშრომი „საქართველოს საზღვრები (1917-1938)“, სადაც დოკუმენტური მასალის განხილვა/შესწავლით წარმოდგენილია საქართველოს საზღვრების დადგენის ისტორია, 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ განვითარებული პროცესები, დასკვნებში აღნიშ-

ნულია: „საქართველო ისჯებოდა ათწლეულების განმავლობაში, თანაც სხვადასხვა ფორმით. დასჯის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიით რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის „დასაჩუქრება“. უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიული ტერიტორიით მოსკოვმა უხვად „დაასაჩუქრა“ ოსმალეთიც“ (ვარდოსანიძე, გურული, ხარაძე, 2014).

2013 წელს დ. შველიძის რედაქტორობით დაიბეჭდა კრებული „დამოუკიდებლობის 1028 დღე“, - საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) ყოველდღიური მატიანე. 25 თებერვლის შესახებ ინფორმაცია 3 მონაკვეთისგან შედგება და გვაუწყებს: „თბილისში შემოვიდნენ საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილები, სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვს ახარა: „თბილისი თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.“ ქართულმა ნაწილებმა დაიხიეს მცხეთისაკენ. თუმცა მათი იქ მოწესრიგება და განლაგება შეუძლებელი აღმოჩნდა. 25 თებერვალს რუსული 98-ე ბრიგადის მოწინავე შენაერთებმა გადმოლახეს მამისონის უღელტეხილი (შველიძე, 2013).

მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ინტერესი და დამოკიდებულება 1921 წლის თებერვლის მოვლენების კვლევისადმი. აქედან აღვნიშნავ თინა ცხოვრებაძის ნაშრომს - „დადუმებული მეხსიერება: 26 მაისის ქართულ რეალობაში დაბრუნება (1988-1991 წლები“. სადაც ავტორი განიხილავს საქართველოს გასაბჭოების ვერსიას 1988-1991 წლების გაზეთების „კომუნისტის“ და შედეგ “საქართველოს რესპუბლიკის“ მიხედვით.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში ახალი ცხოვრების ეტაპი საგაზეთო სტატიებშიც აისახა. ფაქტებით დამტკიცდა, რომ 1921 წლის თებერვალი საზეიმო თარიღი კი არა, საქართველოს სახელმწიფოს მოსპობის აქცია იყო (ცხოვრებაძე, 2017).

ახალგაზრდა მკვლევარი დიმიტრი სილაგაძე თავის ნაშრომებში ეხება 1918-1921 წლების საქართველოს რეალობას, 1921 წლის 25 თებერვლის შესახებ აღნიშნავს, რომ საქართველო რუსეთთან თითქმის მარტო იყო დარჩენილი. (სილაგაძე, 2020).

დასკვნა

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შესწავლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების (1991წ.) შემდეგ გააქტიურდა. საკითხის კვლევით, მთელი რიგი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, არაერთი მკვლევარი დაინტერესდა. მათ ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ 1921 წლის 25 თებერვალი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მძიმე, ტრაგიკული თარიღია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი, ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, 1990, თბილისი

ბახტაძე, მ.,“1921 წლის რუსეთ - საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედების ისტორიიდან“, 2013, თბილისი

ბერიძე, ვ. „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები)“, 1992, თბილისი

გაფრინდაშვილი, ლ., *საქართველოს რეგიონების ცხოვრება 1918-1921 წლებში, 2018,* თბილისი

გიორგაძე, ი., ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX ს-ის 20-90-იან წლებში), 2016, თელავი

გურული, ვ., საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (შესწავლის მდგომარეობა, პერიოდიზაცია), 2011, თბილისი

გურული, ვ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921), 2011, თბილისი

ვადაჭკორია, შ., „საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტი)“, 2016, თბილისი

ვადაჭკორია, შ., ქართული სოციალ–დემოკრატია 1917–1921 წლებში, 2001, თბილისი

10.ვარდოსანიძის, ს., გურულის,ვ., ხარაძის,კ., ჯიქია,ლ., „საქართველოს საზღვრები (1917-1938)“, 2014, თბილისი

11.ვაჩნაძე, მ., გურული, ვ., (2001), ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი.

12. კობახიძე, ბ., სილაგაძე, დ. ვაჭარაძე, ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა, 2018, თბილისი

13.მაცაბერიძე, მ., „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკიური კონცეფცია“, 1996 , თბილისი

14.მაცაბერიძე, მ. 26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში (1921-1922) ჟურნ. პოლიტიკა 2018, N 4 (10), თბილისი

15.მაცაბერიძე, მ., საქართველოს პოლიტიკური სისტემა, 2019, თბილისი,

16.მაცაბერიძე, მ., „ივანე ჯავახიშვილი და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი, 2016, თბილისი

17.სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს კონსტიტუციის 90 წლისთავი“, 2011, ბათუმი

18.სილაგაძე, დ., რატომ წავაგეთ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი?, 2020

https://tabula.ge/ge/news/640608-dimitri-silakadze-ratom-cavaget-1921-clis

19.სონღულაშვილი, ა., ისტორია და თნამედროვეობა, 2016, თბილისი.

შარაშენიძე, ვ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, 1990, თბილისი.

21.შველიძე, დ., „დამოუკიდებლობის 1028 დღე“ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921), 2013, თბილისი

22.ცხოვრებაძე, თ. „დადუმებული მეხსიერება: 26 მაისის ქართულ რეალობაში დაბრუნება (1988-1991 წლები“, ჟურ. პოლიტიკა, 2017 #4, თბილისი

23. ჭუმბურიძე, დ., განათლება 1918-1921 წწ, 2000, თბილისი.

24.ჯანელიძე,ო., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“, 2018, თბილისი

25.ჯანელიძე, ო., „26 მაისიდა 26 თებერვლისაკენ“, 1990, თბილისი

26.ჯანელიძე, ო., „ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ“, 2018 , თბილისი

Manana Darchashvili

February 25, 1921, in Modern Georgian Historiography

Abstract

The paper discusses certain recent works of Georgian prominent authors about Georgian historiography, particularly on the topic of February 25, 1921, which is an important and significant issue for Georgia. The works show and highlight that Georgia has never tolerated the loss of independence after the annexation and abolition of statehood by the Russian Empire.

The paper stresses that the topic of February 25, 1921, is presented in detail in modern Georgian historiography, moreover, it is worth saying that the authors working over the topic are researchers of different generations. It is not surprising that the authors working during the Soviet period, under that regime, assessed reality from a completely different position. The Article observes the two types of authors: first,

who have been observing the dynamics of political processes and scientific activities since the Soviet period, mainly after the restoration of Georgia's state independence, and second, who are actively investigating the current events.